



შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი
განათლებისა და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
სადოქტორო პროგრამა განათლების მეცნიერებებში

სოციოლინგვისტური და პრაგმატიკული კომპეტენციის განვითარება ინგლისურის
როგორც უცხოური ენის შემსწავლელ სტუდენტებში უნივერსიტეტის ენათა
სკოლაში (ერაყის მაგალითი)

ელვირა კორანი
სადოქტორო დისერტაციის ავტორეფერატი განათლების მეცნიერებებში

თბილისი 2016

სამეცნიერო
ხელმძღვანელი:

ლია თოდუა

ასოცირებული პროფესორი, დოქტორი შავი ზღვის
საერთაშორისო უნივერსიტეტში

ექსპერტები (სახელი, გვარი და აკადემიური წოდება სრულად):

1. პროფესორი, დოქტორი ნიკოლოზ ფარჯანაძე

2. ასოცირებული პროფესორი, დოქტორი ირმა მესირიძე

ოპონენტები (სახელი, გვარი და აკადემიური წოდება სრულად):

1. ასოცირებული პროფესორი, დოქტორი ირა დანელია

2. ასოცირებული პროფესორი, დოქტორი მარინა ზორანიანი

3. ასოცირებული პროფესორი, დოქტორი ალიმჯან ზაკიროვი

შესავალი

ტერმინის კომუნიკაციური კომპეტენცია შემოღების შემდეგ, ეს ცნება თანამედროვე ლინგვისტიკის და მისი ქვედარგების საყრდენად იქცა და დიდი მნიშვნელობა შეიძინა ნებისმიერი უცხოური ენის სწავლების საქმეში. რა დატვირთვა გააჩნია ამ ცნებას?

კომუნიკაციური კომპეტენცია არის ენის გამოყენების ინტუიციური ფუნქციონალური ცოდნა და მისი პრინციპების მართვის უნარი. როგორც ჰაიმსი აღნიშნავს: „.....ნორმალური ბავშვი შეიძენს წინადადებების არა მხოლოდ გრამატიკულ ცოდნას, არამედ ცოდნას მათი მართებულობის შესახებ. იგი შეითვისებს კომპეტენციას, თუ როდის ისაუბროს, როდის არა, რა თქვას ვისთან, როდის, სად, როგორი ყაიდით. მოკლედ რომ ვთქვათ, ბავშვი უნარიანი ხდება აღასრულოს სამეტყველო აქტების მთელი რეპერტუარი, მონაწილეობა მიიღოს სამეტყველო ფაქტების მთელს წყებაში და შეაფასოს სხვების მიერ მათი შესრულების წარმატებულობა.“ (Hymes, 1972, გვ.277)

სოციოლინგვისტური კომპეტენცია კომუნიკაციური კომპეტენციის ერთ-ერთი კომპონენტია ლინგვისტურ, დისკურსის და სტრატეგიულ კომპეტენციებთან ერთად. სოციოლინგვისტური კომპეტენცია არის ენის გამოყენების სოციოკულტურული წესების ცოდნა, ე.ი., ცოდნა იმისა, თუ როგორ გამოვიყენოთ ენა და მოვახდინოთ მასზე რეაგირება სათანადოდ. მართებულობა კომუნიკაციის გარემოთი, თემით, მოურთიერთე ადამიანების ერთიერთდამოკიდებულებითაა განპირობებული. უფრო მეტიც, სათანადოობა საუბრისას დამოკიდებულია ენის მატარებელთა კულტურაში ტაბუს, თავაზიანობის განაწესის, ცალკეული ცნებებისთვის პოლიტიკურად კორექტული ტერმინების, გარკვეული დამოკიდებულების (ძალაუფლება, თავაზიანობა, ირონია, მეგობრულობა, ა.შ.) გამოხატვის, ა.შ. ცოდნაზე.

პრაგმატიკული კომპეტენცია ასევე არის კომუნიკაციური კომპეტენციის ერთ-ერთი ასპექტი და წარმოადგენს უნარს გადმოსცე წინასწარგანზრახული ვერბალური გზავნილი ყველა ნიუანსთან ერთად და ასევე განმარტო გზავნილი დაგეგმილი თანამოსაუბრის მიერ.

წლების მანძილზე ერაყში ინგლისური ენა ძირითადად გრამატიკისა და თარგმნის მეთოდის გამოყენებით ისწავლებოდა, გრამატიკის წესებზე აქცენტრებით და შემსწავლელთა მშობლიური ენის მოშველიებით, სტუდენტის მიერ წესების გაზუთხვით, ა.შ. თუმცა, ეს მეთოდი ჯეროვნად ვერ აკმაყოფილებდა შემსწავლელების საჭიროებებს. შედეგად, ისინი იყვნენ ინგლისურ ენაზე „მოსაუბრები“, რომელთაც იცოდნენ გრამატიკის წესები, ქონდათ მდიდარი ლექსიკა, თუმცა ენას რეალურად კომუნიკაციისთვის ვერ იყენებდნენ.

რამოდენიმე წლის წინ დაიწყო მცდელობები შეცვლილიყო ერაყში ინგლისური როგორც უცხოური ენის შესწავლის პრაქტიკა გასული საუკუნის 70-იანი წლების სახელმძღვანელოების გაერთიანებულ სამეფოში გამოცემული ახალი სერიის წიგნებით ჩანაცვლებით. ახალი წიგნები მეტად იყო კომუნიკაციაზე ორიენტირებული; თუმცა, მათ ყველა პრობლემის გადაწყვეტა ვერ შეძლეს. ინგლისური როგორც უცხოური ენის სწავლებაში მეთოდებისა და მიდგომების მთავარი მიზანი კომუნიკაციური კომპეტენციის ჩამოყალიბებაა, იგივე ხდება ერაყშიც. არსებობს მოლოდინი, რომ ინგლისური ენის მაღალ დონეზე მცოდნე პიროვნება ამ კომპეტენციის მაღალ დონეზე დემონსტრირებას მოახდენს. თუმცა, ჩემი დავკირვებითა და გამოცდილებით, რომელიც გარკვეული კვლევებითაა გამყარებული (Jaroszek, 2008; Mizne, 1997), ინგლისური როგორც უცხოური ენის ბევრი შემსწავლელი ვერასოდეს ახერხებს სათანდო რეაგირებას ამათუიმ სოციალურ სიტუაციაში ან არ ძალუძს გამონათქვამის სწორად ინტერპრეტაცია, გრამატიკულად გამართულ, თუმცა მოუქნელ წინადადებებს იყენებს, არაბუნებრივ რეპლიკებს იშველიებს კომუნიკაციისას, და ცალკეულ გამოთქმებს მშობლიური ენიდან ინგლისურ ენაზე სიტყვა-სიტყვით თარგმნის.

ამის მრავალი მიზეზი შეიძლება არსებობდეს. ერთ-ერთი შესაძლოა იყოს მასწავლებლებში კომუნიკაციური კომპეტენციის დაბალი დონე, განსაკუთრებით პრაგმატიკული და სოციოლინგვისტური კომპეტენციებისა, რომელთა დაუფლება ინგლისური როგორც უცხოური ენის კონტექსტში ძნელია, აქ ხომ მშობლიურ ენაზე

მოსაუბრებთან ინტერაქცია ან ძალიან შეზღუდულია ან საერთოდ არ არსებობს; ამასთან, ბევრ ინგლისური როგორც უცხოური ენის მასწავლებელს როდი ეძლევა შესაძლებლობა იცხოვროს ინგლისურენოვან ქვეყანაში. მეორე მიზეზი შესაძლოა იყოს ის ფაქტი, რომ ენის კურიკულუმი ხშირად ისეა გადატვირთული, რომ ზემოაღნიშნულის მოცვა უჭირს და მასწავლებელი სილაბუსს რომ დაეწიოს, კომუნიკაციურ აქტივობებს უგულვებელყოფს.

ჩემეული დაკვირვება და გამოცდილება ყოველთვის მაყენებდა კითხვის წინაშე შესაძლებელია კი საერთოდ პრაგმატიკული და სოციოლინგვისტური კომპეტენციების სწავლება და აქვთ კი მათ მთლიანობაში ზეპირ მეტყველებაზე ზეგავლენა, სწორედ ამიტომაც მოექცა ეს თემა ჩემი კვლევის ყურადღების ქვეშ.

პრობლემის კონსტატაცია: უნივერსიტეტის ენის სკოლის სტუდენტებს შორის სოციოლინგვისტური და პრაგმატიკული კომპეტენციების არასაკმარისი ცოდნა და დაბალი დონე; ინგლისური როგორც უცხოური ენის მასწავლებლებში ამ კომპეტენციების სტუდენტებში ჩამოყალიბებისთვის და ამგვარად, მეორე ენის ზრდასრულ შემსწავლელებში ენობრივი სრულყოფილების მიღწევისთვის მათი პოტენციალის გამოყენების საქმეში ნაკლებ დახელოვნებულობა.

ჩემი სადოქტორო დისერტაციის მიზნები გახლდათ:

- მიგვეგნო/შეგვემუშავებინა სოციოლინგვისტური და პრაგმატიკული კომპეტენციების სწავლების ეფექტური მეთოდი;
- შეგვემოწმებინა და შეგვეფასებინა აქვს თუ არა სოციოლინგვისტური და პრაგმატიკული კომპეტენციების სწავლებას ზეგავლენა მთლიანობაში ზეპირ მეტყველებაზე;
- შეგვეფასებინა შემოთავაზებული სასწავლო მოდელის ეფექტურობა.

კვლევის ჰიპოთეზა

სოციოლინგვისტური და პრაგმატიკული კომპეტენციების სწავლება ინგლისური როგორც უცხოური ენის ზრდასრული შემსწავლელებისთვის ზრდის მათ კომუნიკაციურ კომპეტენციას შესაწავლ ენაში, ამადლებს მათი ზეპირი მეტყველების დონეს მთლიანობაში, ეხმარება გადალახონ ის წინაღობები, რომელთაც ინგლისური როგორც მეორე ენა წარმოადგენს კულტუროლოგიური და სოციოლინგვისტური თვალსაზრისით, ავითარებს მათში ენის ინტერპრეტაციის უნარს და უნარს იურთიერთონ შესასწავლ ენაზე.

ქვემოთ მოცემულია სადისერტაციო ნაშრომის **კვლევის საკითხები**:

- 1.რა არის კომუნიკაციური კომპეტენციის არსი?
2. კომუნიკაციური კომპეტენციის რომელ ასპექტებს მოიცავენ მისი მთავარი კომპონენტები- სოციოლინგვისტური და პრაგმატიკული კომპეტენციები?
- 3.უცხოური ენის სწავლების რომელი მეთოდები და საშუალებები ავითარებს ეფექტურად სოციოლინგვისტურ და პრაგმატიკულ კომპეტენციებს უცხოური ენის შემსწავლელებში?
4. ახდენს სოციოლინგვისტური და პრაგმატიკული კომპეტენციების განვითარება მთლიანობაში სტუდენტის ზეპირმეტყველების უნარებზე ზეგავლენას?
- 5.რამდენად ღირებულია თანამედროვე ინგლისური როგორც უცხოური ენის სახელმძღვანელოები და ენის პროგრამები მეორე ენის შემსწავლელში სოციო/პრაგმატიკული კომპეტენციის განვითარებისთვის?
- 6.რამდენად აცნობიერებენ ინგლისური როგორც უცხოური ენის მასწავლებლები ენის შემსწავლელისთვის სოციო/პრაგმატიკული კომპეტენციის სწავლების მნიშვნელოვნებას?

7. რა საშუალებები არსებობს სოციო/პრაგმატიკული კომპეტენციის ეფექტურად ტესტირებისა და შეფასებისთვის?

დისერტაციაში გამოყენებულია კვლევის შემდეგი მეთოდები:

- თემის ირგვლივ არსებული ლიტერატურის მიმოხილვა და ანალიზი
- კითხვარი
- ექსპერიმენტი
- ინტერვიუ
- დაკვირვება
- გამოკითხვისა და ექსპერიმენტის შედეგად მიღებული მონაცემების სტატისტიკური ანალიზი

რაოდენობრივი პარადიგმა:

- პრე-ტესტი (ერთი კვირით ადრე კვლევამდე)
- შუალედური ტესტი (ექსპერიმენტის შუა პერიოდში)
- პოსტ-ტესტი (ექსპერიმენტის დასრულებისთანავე)
- ექსპერიმენტის მეშვეობით მიღებული მონაცემების სტატისტიკური ანალიზი
- გამოკითხვა მასწავლებლის კომუნიკაციური კომპეტენციის შეფასებისთვის
- სახელმძღვანელოების ანალიზი მათში სოციოლინგვისტური და პრაგმატიკული კომპეტენციების კომპონენტების თვალსაზრისით

თვისობრივი პარადიგმა:

- ინტერვიუები ექსპერიმენტის შემდეგ შემთხვევით შერჩეულ სტუდენტებთან
- შემსწავლელთა ზეპირ მეტყველებაზე დაკვირვება და მისი შეფასება
- სასწავლო პროცესზე დაკვირვება, როგორც კურიკულუმის შეფასების ნაწილი
- მასწავლებელთა კომუნიკაციურ კომპეტენციაზე დაკვირვება
- შემსწავლელებთან კურიკულუმის განხილვა
- მასწავლებლებთან კურიკულუმის განხილვა და მათ მიერ მისი შეფასება

ასე რომ, კვლევის მეთოდები გახლდათ როგორც რაოდენობრივი, ასევე ემპირიული.

კვლევის აქტუალობა

ინგლისური როგორც უცხოური ენის სწავლების საქმეში ენის კომუნიკაციური შესწავლის დანერგვიდან ათობით წლის მანძილზე ამ პრაქტიკამ გარკვეული დაღმასვლა და სტაგნაცია განიცადა. ინგლისური როგორც უცხოური ენის შემსწავლელი სწავლას ხშირად ისე ამთავრებენ, რომ მათ შესასწავლ ენაში კომუნიკაციური კომპეტენცია არ გააჩნიათ, განიცდიან ინტერაქციის უნარების, ენის ინტერპრეტირების წესების ცოდნისა და ინტუიციის ნაკლებობას, არ ძალუბთ ჯეროვნად რეაგირება სხვადასხვა ვერბალურ თუ არავერბალურ სიტუაციებში. გამომდინარე აქედან, წინამდებარე დისერტაცია უეჭველია აქტუალურია იმისთვის, რომ განახლდეს სოციოლინგვისტური და პრაგმატიკული კომპეტენციების სათანადოდ სწავლების პრაქტიკა.

კვლევის სიახლე

ერთ-ერთი მიდგომა, რომელიც მიზნად ისახავს კომუნიკაციური კომპეტენციის სწავლებას არის ენის კომუნიკაციური სწავლება (CLT). მრავლადაა კვლევები, რომლებიც ამ მიდგომას შეისწავლის. თუმცა, ნაკლებადაა ყურადღების ქვეშ ამ ცნების ქვეკომპონენტები, კერძოდ, სოციოლინგვისტური და პრაგმატიკული კომპეტენცია, შესაძლოა იმის გამო, რომ ეს კომპეტენციები ეხება ენის კულტუროლოგიულ ასპექტს და კულტურა ძალზედ აბსტრაქტული და ფაქიზი თემაა.

კვლევამ მოახდინა სოციოლინგვისტური და პრაგმატიკული კომპეტენციების ძირეული ასპექტების სისტემატიზაცია მათი სწავლების მიზნით წინა-საშუალო და საშუალო დონეებზე ინგლისური როგორც უცხოური ენის ზრდასრული შემსწავლელიებისთვის (უნივერსიტეტის დაბალი კურსების სტუდენტებისთვის). მიმდინარე კვლევის სიახლე მის მიდგომაშია თუ როგორ განვითარდეს სოციოლინგვისტური და პრაგმატიკული კომპეტენციები ენის შემსწავლელიებში და თუ ამ კომპეტენციებს რა ზეგავლენა აქვთ

შესასწავლი ენის ზეპირ მეტყველებაზე; სიახლე ასევე მოიცავს იმ ფაქტორების ანალიზს, რომლებიც ზემოქმედებენ სწავლების პროცესზე, როგორებიცაა, კურიკულუმი, სასწავლო მასალა და მასწავლებლები.

კვლევის თეორიული ღირებულება

წინამდებარე კვლევის თეორიული საფუძვლები შემდეგია:

- კომუნიკაციური კომპეტენციის ცნება შემოთავაზებული სხვადასხვა მეცნიერის და მკვლევარის მიერ (Bachman, 1990; Canale, 1983; Canale & Swain, 1980; CEFR, 2001; Hymes, 1972)
- კომუნიკაციური კომპეტენციის სწავლება, ენის კომუნიკაციური სწავლება(Larsen-Freeman, 2008; Richards, 2006; Richards & Rodgers, 2001; Savignon, 2002)
- სოციოლინგვისტური კომპეტენციის სწავლება(Handford, 2002; Mizne, 1997)
- პრაგმატიკული კომპეტენციის სწავლება (Xiao-le, 2011; Ekin, 2013; Jernigan, 2007; Kasper & Rose, 2001; Littlewood, 1981)
- სოციოლინგვისტური კომპეტენციის და პრაგმატიკული კომპეტენციის ტესტირება და შეფასება(Byram, 1997; Underhill, 1987; Kasper & Rose, 2001)

მოხდა ინგლისური როგორც უცხოური ენის სწავლების დარგში არსებული სოციოლინგვისტური და პრაგმატიკული კომპეტენციების სწავლების შესახებ ცოდნის სისტემატიზაცია, შემუშავდა ახალი მეთოდები და მიდგომები ამ კომპეტენციების სწავლებისთვის და ასეთნაირად შემოთავაზებულ იქნა ამ მათი სწავლების ეფექტური მოდელი.

ნაშრომის პრაქტიკული ღირებულება

კვლევა თავისი პრაქტიკული შედეგებით გააუმჯობესებს ინგლისური როგორც უცხოური ენის ზრდასრული შემსწავლელებისთვის ინტერაქტიული უნარების

სწავლებას; იმედია დაეხმარება მასწავლებლებს იყვენენ რეალურ ნამდვილ კომუნიკაციაზე ორიენტირებული, რათა სრულად აღჭურვონ სტუდენტები სოციოლინგვისტური და პრაგმატიკული კომპეტენციით, იმისთვის , რომ მათ სათანადოდ შეძლონ ინგლისურ ენაზე ვერბალური კომუნიკაცია.

დისერტაციის სტრუქტურა

დისერტაცია მოიცავს შემდეგ ნაწილებს: შესავალს, 4 თავს, დასკვნებსა და დანართს. მასში შედის 25 ცხრილი და 10 სქემა.

თავი 1: ლიტერატურის მიმოხილვა

ეს თავი ეხება შემდეგ საკითხებს: კომუნიკაციური კომპეტენციის ცნების განმარტება, ამ ცნების გამოჩენილი მეცნიერების მიერ შემოთავაზებული ტიპოლოგია და მოდელები; კომუნიკაციური კომპეტენციის ორი მთავარი კომპონენტი: პრაგმატიკული კომპეტენცია და სოციოლინგვისტური კომპეტენცია და ენის კომუნიკაციური სწავლების მცირე ექსკურსი.

ტერმინის *კომუნიკაციური კომპეტენციის* ავტორია დელ ჰაიმსი (1966), რომელის მტკიცებითაც, თუ ადამიანი სხვადასხვა სახის გრამატიკულ წინადადებას მათი დროულობის და სათანადოობის გაუთვალისწინებლად წარმოთქვამს, მას ფსიქიატრიულ საავადმყოფოში მოათავსებენ. ეს გახლდათ კონტრარგუმენტი ჩომსკის (1965) მიერ შემოთავაზებულ *ლინგვისტური კომუნიკაციის* განმარტების საპასუხოდ. კომუნიკაციური კომპეტენცია, როგორც წინათ აღვნიშნეთ, მოიცავს არა მხოლოდ ენობრივი კოდის და მისი სინტაქსური წესების ცოდნას, არამედ ცოდნას იმისა, თუ რა არის მართებული და რა არა მოცემულ კონტექსტში. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ის მოიცავს ცოდნას ვის რა ვუთხრათ, ან როდის გავჩუმდეთ, როგორ ვთქვათ სათქმელი ჯეროვნად მოცემულ სიტუაციაში, როგორ მივმართოთ სხვადასხვა სტატუსის, ფუნქციისა და/ან სქესის ადამიანებს, როგორ გავცეთ ბრძანება, როგორ გავაკრიტიკოთ, როგორ ვთქვათ უარი ან დავთანხმდეთ შემოთავაზებაზე, როგორ ვითხოვოთ რამე, ა.შ.

მოკლედ, ეს ტერმინი მოიცავს ენის გამოყენების ყველა ასპექტს, და ზოგ შემთხვევაში არავერბალურ საშუალებებსაც (პოზა, ჟესტი, სიჩუმე, ა.შ.)

ტერმინს მრავალი განმარტება გააჩნია. ჩვენ შევაჯამეთ ცნების მთავარი კომპონენტების შესახებ დარგის გამოჩენილი მკვლევარების მოსაზრებები.

კანალე და სუეინი შესაბამისად 1980 და 1983 წლებში (ციტ. Hadley, 1993) კომუნიკაციურ კომპეტენციას ოთხ ნაწილად ყოფენ:

- 1) ლინგვისტური კომპეტენცია, ცოდნა და უნარი გამოიყენო სწორად ენობრივი კოდი, გრამატიკა, წარმოთქმა და ლექსიკა,
- 2) დისკურსის კომპეტენცია, უნარი უზრუნველყო დისკურსის სეგმენტებს შორის კოჰეზიურობა და კოჰერენტულობა,
- 3) სტრატეგიული კომპეტენცია, რაც წარმოადგენს უნარს შესასწავლი ენის ცოდნაში არსებული ხარვეზები შეასწორო და გადალახო, და ბოლოს,
- 4) სოციოლინგვისტური კომპეტენცია, უნარი გამოიყენო ენა სათანადოდ სხვადასხვა სოციალურ სიტუაციაში.

სქემა 1.1. კანალესა და სუეინის კომუნიკაციური კომპეტენციის მოდელი (1980, 1983)




ბაჩმანმა შემოგვთავაზა (1990) კომუნიკაციური კომპეტენციის ახალი მოდელი, რომელიც კანალესა და სუეინის (1983) მოდელიდან მომდინარეობს. მან ამჯობინა მისთვის კომუნიკაციური ენობრივი უნარი ეწოდებინა, უფრო ფართო ცნება, რომელიც მოიცავს

კომუნიკაციურ კომპეტენციას და ენის თავისუფლად ფლობას. მან ცნება დაყო რამოდენიმე კომპონენტად, როგორებიცაა ენობრივი კომპეტენცია, სტრატეგიული კომპეტენცია და ფსიქოფიზიოლოგიური მექანიზმები. ჩვენ ყურადღებას მივაპრობთ ენობრივ კომპეტენციას. ბაჩმანის მიხედვით იგი ორი ნაწილისგან შედგება:

ორგანიზაციული კომპეტენცია: ა)გრამატიკული კომპეტენცია ბ)ტექსტუალური კომპეტენცია

პრაგმატიკული კომპეტენცია: ა)ილოკუციური კომპეტენცია ბ)სოციოლოგიური კომპეტენცია

სქემა 1.2. ბაჩმანის კომუნიკაციური კომპეტენციის მოდელი (1990)



ბოლო მოდელი, რომელიც ჩვენ შევისწავლეთ გახლდათ საერთო ევროპული სარეფერენციო ჩარჩო -CEFR, მისი 2001 წლის მოდელი. საერთო ევროპული სარეფერენციო ჩარჩო ენებისთვის: სწავლა, სწავლება, შეფასება, მისი აბრევიატურაა CEFR ან CEF არის მნიშვნელოვანი დოკუმენტი, რომელიც ევროპის საბჭოს მიერ 1989 და 1990 წლებში შემუშავდა, რათა მომხდარიყო მთელს ევროპაში ენების სწავლის, სწავლებისა და შეფასების სტანდარტიზაცია. ამ დოკუმენტში კომუნიკაციური კომპეტენცია ცოდნად ითვლება. მას სამი ძირითადი კომპონენტი გააჩნია: ენობრივი კომპეტენცია, პრაგმატიკული კომპეტენცია და სოციოლინგვისტური კომპეტენცია.

ენობრივი კომპეტენცია წარმოადგენს ცოდნას და უნარს გამოიყენო ენის რესურსები კარგად სტრუქტურირებული წინადადებების/ გამონათქვამების ფორმირებისთვის.

სოციოლინგვისტური კომპეტენცია არის ცოდნა და უნარი გამოიყენო ენა სათანადოდ ნებისმიერ მოცემულ სოციალურ კონტექსტში, მათ შორის, შესასწავლი ენის კულტურის, ტაბუს, მომართვის ფორმების, რეგისტრთა შორის სხვაობების, საუბრისას რიგის, თავაზიანობის ცნების შესახებ ცნობადობა, ცოდნა იმისა, თუ როდის ილაპარაკო, როდის გაჩუმდე, ასევე დიალექტების, კილოკავების, ა.შ. ლინგვისტური მარკერების ცოდნა.

პრაგმატიკული კომპეტენცია, ტერმინის შემდგომი ქვეკომპონენტი, თავის მხრივ იყოფა ორ ქვეკომპეტენციად: დისკურსის და ფუნქციონალური კომპეტენციები. დისკურსის კომპეტენცია საჭიროა, რათა შევძლოთ მეტყველების/წერილობითი ტექსტის რეგისტრის, ლოგიკური თანმიდევრულობის, რიტორიკული ეფექტის და თემატური ორგანიზაციის თვალსაზრისით კოჰერენტული და კოჰეზიური ნაკადის ფორმირება.

სქემა 1.3. ევროპის საბჭოს კომუნიკაციური კომპეტენციის მოდელი (2001)



კომუნიკაციური კომპეტენციის ცნება, რომელიც ზემოთ შევაჯამეთ, არის ენის სწავლების შესაძლოა ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული მიდგომის -ენის კომუნიკაციური სწავლების საფუძველი. ენის კომუნიკაციური სწავლება უფრო ფართო მიდგომაა ენის სწავლებისადმი, ვიდრე ერთი ცალკე აღებული მეთოდი გამოკვეთილი

ინსტრუქტაჟითა და დადგენილი სასწავლო პრაქტიკით. ამიტომაც, ის უნდა აღვწეროთ, როგორც საერთო პრინციპების წყება, რომელთაგანაც რამოდენიმე ქვემოთ არის ჩამოთვლილი(Larsen-Freeman, 2008):

- შესასწავლი ენა არა არის უბრალოდ შესწავლის ობიექტი, არამედ საკლასო ოთახში ურთიერთობის საშუალება.
- სტუდენტებმა უნდა იმუშაონ ენასთან დისკურსის დონეზე, ეს კი წინადადების დონეს სცილდება. მათ ასევე უნდა შეითვისონ მეტყველების კოჰერენტულობის და კოჰეზიურობის აღქმა.
- თამაშები მნიშვნელოვანია, განსაკუთრებით, როცა საქმე ეხება შეთანხმებას აზრის, ჩანაფიქრის შესახებ და კომუნიკაციურ პრაქტიკას.
- სტუდენტებს უნდა მიეცეთ საშუალება გამოხატონ თავისი პირადი აზრი და მოსაზრება.
- საჭიროა გარკვეული შემწყნარებლობა შეცდომების მიმართ და შეცდომა კომუნიკაციის უნარების განვითარების ბუნებრივ კომპონენტად უნდა ჩაითვალოს.
- მასწავლებლის როლი ამ მხრივ არის ხელშემწყობის ფუნქცია კომუნიკაციური აქტივობების აგებაში და მრჩევლისა ამ აქტივობების დროს.
- კომუნიკაციისას მნიშვნელოვანია არა მხოლოდ რა ვთქვათ, არამედ როგორ გამოვხატოთ სათქმელი.

მეთოდებს, რომლებიც წინ უძღოდნენ კომუნიკაციურ ენის სწავლებას, ხელი მოეცარათ ენის შემსწავლელისთვის რეალური კომუნიკაცია ესწავლებინათ შესასწავლ ენაში. ახალი მიდგომის საჭიროებამ, რომელიც შემსწავლელს კომუნიკაციას ასწავლიდა, რაც მხოლოდ ლინგვისტური გამოყენების წესების ცოდნა როდია, არამედ უნარი რეალურად გამოიყენო ენა, წარმოშვა ენის კომუნიკაციური სწავლება. ენის კომუნიკაციური სწავლება-შესწავლამ მოიცვა ქრონოლოგიურად მისი წინამორბედი ყველაზე ცნობილი თეორია, ასევე მისი თანამედროვე უცხოური და მეორე ენის სწავლების მიდგომები,

როგორებიცაა, პირდაპირი მეთოდი, აუდიო-ლინგვალური მეთოდი, გრამატიკისა და თარგმნის მეთოდი, ა.შ. სოციალური კონსტრუქტივისტებისაგან და სწავლებისა და შესწავლისადმი კონსტრუქციული ფილოსოფიური დამოკიდებულებისგან მან ისეხა სოციალურ და კომუნიკაციურ უნარებზე ფოკუსირება, შემსწავლელზე ორიენტირებულობა, კოლაბორაციული სწავლების პრაქტიკა (Pishghadam & Mirzaee, 2008; Finocchiaro & Brumfit, 1983), შემსწავლელის აქტიური მონაწილეობა ცოდნის აგებაში, შესასწავლი ენის აზრის შექმნის საშუალებად მოაზრება, ენის შესწავლის სოციოკულტურული ასპექტების ხაზგასმა (Schcolnik, Kol, & Abarbanel, 2006). პრაგმატიზმის, პროგრესივიზმის, ეგზისტენციალიზმის და კრიტიკული აზროვნების ფილოსოფოსებისგან ენის კომუნიკაციური სწავლებამ და შესწავლამ მემკვიდრეობით მიიღო ჯგუფური და წყვილთა სამუშაოების უპირატესობა, პრობლემის გადაწყვეტის აქტივობები, ექსპერიმენტირება, მეორე ენის შემსწავლელთა ცოდნის რეალურ ცხოვრებისეულ სიტუაციებთან მისადაგება, სტუდენტთა საჭიროებების დიდად აქცენტირება და ამ თვალსაზრისით მეორე ენის კურიკულუმის მოქნილობა, თვით-აქტუალიზაციის შესაძლებლობები, რომლებიც შემსწავლელებს ენის კომუნიკაციური შესწავლისას ენიჭებათ, სწავლების მეთოდების პრაქტიკულობა, რაც ჩრდილავს უბრალოდ თეორეტიზებას (Massouleh და Jooneghani, 2012) და ბოლოს, პოსტმოდერნული საგანმანათლებლო დოქტრინების ყველაზე მთავარი ტენდენცია, რომელიც, ყველა ზემოთ აღნიშნული თეორიიდან მომდინარეობს - შემსწავლელზე ორიენტირებულობა- ენის სწავლებისა და შესწავლის პროცესი შთაგონებულია სტუდენტის ინტერესებით, საჭიროებებით, მოლოდინებით, და არა მასწავლებლის მიერ ან იმ დაწესებულებით, სადაც საგანმანათლებლო პროცესი მიმდინარეობს. (Pishghadam და Mirzaee, 2008)

თავი 2: სოციოლინგვისტური და პრაგმატიკული კომპეტენციის განვითარება ინგლისური როგორც უცხოური ენის შემსწავლელ ზრდასრულებში

ეს თავი იწყება კომუნიკაციური კომპეტენციის სწავლების მეთოდების ზოგადი მიმოხილვით, შემდგომ ფოკუსირდება მის ორ ქვეკომპონენტზე: სოციოლინგვისტურ და პრაგმატიკულ კომპეტენციებზე, რომელთაც ცალზე ქვეთავები ეძღვნებათ.

სოციოლინგვისტური და პრაგმატიკული კომპეტენციების სწავლება სხვადასხვა პროცედურების და აქტივობების მეშვეობით ხორციელდება. ზოგი მათგანი ქვემოთაა ჩამოთვლილი:

- ვიდეო მასალის გამოყენება, რომელშიც აქცენტი კეთდება სოციოლინგვისტური და პრაგმატიკული კომპეტენციების სხვადასხვა ელემენტზე და რომელშიც მშობლიურ ენაზე მოსაუბრეები მონაწილეობენ
- დისკუსიების ჩატარება მთელ რიგ თემებზე ამ კომპეტენციების სწავლების/სწავლისა და გავარჯიშების მიზნით
- სტუდენტების პრეზენტაციები მათთვის საინტერესო თემებზე ისეთი სამეტყველო აქტების სწავლების მიზნით როგორებიცაა, თავაზიანად დათანხმება/ არ დათანხმება, მილოცვა, ა.შ.; მეტყველების კოჰერენტულობის და კოჰეზიურობის უზრუნველყოფის ტექნიკა
- ძირითადი სამეტყველო აქტების, როგორებიცაა, თხოვნა, მობოდიშება, მიწვევა, მისალმება, ა.შ. ექსპლიციტური სწავლება
- როლების გათამაშების აქტივობები, რომელიც ერთდროულად გამოიყენება როგორც ამ კომპეტენციების სწავლების/ შესწავლის მიზანი და საშუალება
- ანდაზების სწავლება შესასწავლი ენის კულტურის, რწმენების, ფასეულობების, ცხოვრების წესისა და ჩვეულებების გასაცნობად.

ამ ორი კომპეტენციის სწავლების/შესწავლის პროცესში და მას შემდეგ, რაც პროცესი დასრულდა, უნდა მომხდარიყო პროგრესის იმ დონის ტესტირება და შეფასება, რომელთაც სტუდენტებმა მიაღწიეს. ლიტერატურა სოციოლინგვისტური და

პრაგმატიკული კომპეტენციების სწავლების შესახებ ნათლად მიგვითითებს, თუ რა წარმოადგენს ამ კომპეტენციების ტესტირების ოპტიმალურ საშუალებას. ქვემოთ მოცემულია შეფასების ყველაზე ეფექტური მექანიზმები:

- წერილობითი დისკურსის დასრულების ამოცანები(WDCT),
- მრავალი არჩევანის დისკურსის დასრულების ამოცანები(MDCT),
- ზეპირი დისკურსის დასრულების ამოცანები(ODCT),
- დისკურსის როლების თამაშის საუბრები (DRPT),
- დისკურსის თვით-შეფასების საუბრები(DSAT),
- როლების თამაშის თვით-შეფასებები(RPSA) (Kasper and Rose, 2001, გვ.301,302).
- სტუდენტის ზეპირი მეტყველების დაკვირვების მატრიცა -SOLOM.

ამ მექანიზმთაგან ზოგიერთი გამოვიყენეთ მიმდინარე კვლევაში სოციოლინგვისტური და პრაგმატიკული კომპეტენციების ტესტირებისთვის, ესენია, SOLOM, WDCT, MDCT, ODCT, DRPT, DSAT.

თავი 3: პრაქტიკული მოსაზრებები კვლევის შესახებ

სოციოლინგვისტური და პრაგმატიკული კომპეტენციის სწავლება და განვითარება მრავალ ფაქტორს მოიცავს, როგორებიცაა, ენის პროგრამის ან კურიკულუმის შეფასება სოციოლინგვისტური და პრაგმატიკული კომპეტენციის სწავლებისთვის ფასეულობის თვალსაზრისით და მისი განახლება; ზემოაღნიშნული კომპეტენციების სწავლებისთვის გამოყენებული აუცილებელი მასალის შერჩევა, ე.ი. სახელმძღვანელოების, აუდიო-ვიზუალური მასალის, ა.შ. და მათი შეფასება; ამ კომპეტენციების სწავლებისთვის მეთოდების, პროცედურების და აქტივობების შერჩევა და ამასთან, ამ კომპეტენციების შეფასებისა და ტესტირებისთვის სათანადო მეთოდების ირგვლივ გადაწყვეტილების მიღება; ამ მიმართულებით ინგლისური ენის როგორც უცხოური და მეორე ენის მასწავლებლების ცნობადობისა და კომპეტენციის შემოწმება. ეს თავი ამ აღნიშნულ ფაქტორებს ეხება.

ენის პროგრამები, მათი კურიკულუმები, სახელმძღვანელოები, და ბოლოს, სასწავლო კურსები, რომელიც მათ ეყრდნობა ჩვეულებრივ შესასწავლ ენაში მიღებული ინფორმაციის ერთადერთი წყაროა, რომელთანაც სტუდენტებს შეხება აქვთ. რადგან ყოველი ენის პროგრამა გარკვეულ მიზანს ემსახურება, როგორ უნდა აღმოვაჩინოთ პროგრამის ღირსებები, თუ რა დონემდე იქნა მისი მიზნები მიღწეული, თუ ზოგადად რა არის მისი დადებითი და უარყოფითი მხარეები? პასუხი, უეჭველია, არის შეფასება. შეფასების მიზანი, ჩვეულებრივ, პროგრამის ან კურიკულუმის გაუმჯობესებაა სწავლების, სწავლისა და შეფასების თვალსაზრისით, და მოიაზრებს სხვადასხვა ალტერნატიულ გზას სადაც ამის საჭიროებაა, ასახავს კურსის შედეგებს და შეაქვს მასში კორექტივები საჭიროების მიხედვით. შეფასება ფართო გაგებით საყოველთაოა და შეისწავლის კურიკულუმის ყველა ასპექტს, რათა მოახდინოს გარანტირება კურსი შესაძლებლობის ფარგლებში საუკეთესოა და მოითხოვს კურსის შედეგების შესწავლას მის დაგეგმვასა და რეალურ განხორციელებასთან ერთად. თუმცა, სინამდვილეში შეფასებებს უმეტესწილად უფრო ვიწრო მიზნები აქვს. ფართომასშტაბიანი შეფასება კვლევის ჩატარების ტოლფასია.

ზემოთ მოცემული ინფორმაციიდან გამომდინარე, ჩვენ შევაფასეთ გამოყენებაში არსებული მიმდინარე ენის პროგრამა სოციოლინგვისტური და პრაგმატიკული კომპეტენციების სწავლების მხრივ ფასეულობის თვალსაზრისით. მონაცემთა მოგროვების საშუალებად გამოვიყენეთ მასწავლებლებთან და შემსწავლელებთან ინტერვიუები, კითხვარები, პროგრამის სილაბუსის ანალიზი და სოციოლინგვისტური და პრაგმატიკული კომპეტენციების სწავლების თვალსაზრისით CEFR-ის მოთხოვნებთან მისი შედარება და უმეტესწილად, სასწავლო პროცესისა და მეორე ენის შემსწავლელების დაკვირვება და ანალიზი.

სკოლის სილაბული შეფასდა და გაანალიზდა შემდეგი ასპექტების თვალსაზრისით:

- 1) ზოგადი ინფორმაცია კურსის შესახებ,
- 2) კურსის გარემო და კონტექსტი,
- 3) კურსის შინაარსი და შემსწავლელთა საჭიროებები, რამდენად ემთხვევა ისინი,

4) სწავლების არჩეული მიდგომა,

5) რამდენად ფარავს პროგრამა სოციოლინგვისტური და პრაგმატიკული კომპეტენციების ელემენტებს.

შეფასების შედეგები მეოთხე თავშია მოცემული.

ანალიზის შემდეგი ნაბიჯი იყო მსოფლიოში ცნობილი საგამომცემლო სახლების მიერ, როგორებიცაა, Oxford, Cambridge, და Macmillan გამოცემული ორი ძალიან პოპულარული ინგლისური როგორც უცხოური ენის სახელმძღვანელოს ანალიზი სოციოლინგვისტური და პრაგმატიკული კომპეტენციების სწავლების მხრივ მათი ღირებულების თვალსაზრისით. მათი შერჩევის კრიტერიუმები გახლდათ შემდეგი: ორივე გამოიყენება უნივერსიტეტში ინგლისური ენის მოსამზადებელ სკოლებში, და მათი მთავარი მიზანი კომუნიკაციური კომპეტენციის სწავლებაა. ანალიზის შედეგები შემდეგნაირად შეიძლება შეჯამდეს: ორივე სახელმძღვანელო სოციოლინგვისტური და პრაგმატიკული კომპეტენციების ჩამოყალიბებისთვის შესაძლოა კარგი წყარო იყოს, თუმცა, მხოლოდ მათზე დაყრდნობა ამ კომპეტენციების სწავლებისთვის საკმარისი არ არის რამოდენიმე მიზეზის გამო. ერთ-ერთი მიზეზი ისაა, რომ ეს სახელმძღვანელოები სათანადო აქცენტს არ აკეთებენ ყოველდღიურ მთავარ სამეყველო აქტებზე, როგორებიცაა, მობოდიშება, თხოვნა, რეაგირება თხოვნაზე, დათანხმება/ არ დათანხმება, ა.შ.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი, რომელიც ზეგავლენას ახდენს პრაგმატიკული და სოციოლინგვისტური კომპეტენციების ჩამოყალიბებაზე არის მასწავლებელი. თუმცა, რამდენად აცნობიერებენ თვით ისინი ორი ზემოთ ნახსენები კომპეტენციის მნიშვნელობას, და რამდენად ფლობენ ამ კომპეტენციებს თავად? ამის გამოსავლენად მოვაწყვეთ გამოკითხვა და ტესტირება, რომელშიც ათმა მასწავლებელმა ისურვა მონაწილეობა. გამოკითხვის და ტესტირების შედეგებმა გვიჩვენა, რომ

- მასწავლებლებს სჯერათ, რომ შემსწავლელებს ასწავლო თუ როგორ გახდნენ კომუნიკაციურად კომპეტენტური გადამწყვეტია

- საკუთარი თავის შესახებ აზრი რომ კომუნიკაციურად კომპეტენტური არიან საკმაოდ მაღალია მასწავლებლებში, თუმცა, რეპონდენტებმა მოახერხეს სწორად ეპასუხათ ტესტის კომპონენტების თითქმის ნახევრისთვის და გამომდინარე აქედან, მათი კომუნიკაციური კომპეტენტურობის დონე საკმაოდ მაღლად ვერ ჩაითვლება.

თავი 4: კვლევა იშვიკის უნივერსიტეტში

ეს თავი ზოგადად მიმოიხილავს კვლევის დიზაინსა და მეთოდებს, რომლებიც კვლევის მიზნების მისაღწევად გამოვიყენეთ. წინამდებარე კვლევამ გამოიყენა შერეული მეთოდი: როგორც რაოდენობრივი, ასევე თვისობრივი საჭირო მონაცემთა მოსაპოვებლად.

რაოდენობრივი კვლევის მიზნით გამოვიყენეთ შემდეგი ინსტრუმენტები:

- პრე-ტესტი
- შუალედური ტესტი
- პოსტ-ტესტი
- ექსპერიმენტი სოციოლინგვისტური და პრაგმატიკული კომპეტენციების სწავლების და განვითარების შემოთავაზებული მოდელის ირგვლივ
- მასწავლებლების გამოკითხვა

თვისობრივი კვლევის მიზნით გამოვიყენეთ შემდეგი ინსტრუმენტები:

- ინტერვიუები სტუდენტებთან (ექსპერიმენტის შემდეგ)
- შემსწავლელების დაკვირვება
- მასწავლებლების დაკვირვება
- სასწავლო პროცესის დაკვირვება
- კურიკულუმის სტუდენტებთან განხილვა
- კურიკულუმის მასწავლებლებთან განხილვა

ცხრილი 4.1. კვლევის დიზაინი

კვლევა	კვლევის მიზანი	მონაცემთა საშუალება	შეგროვების
ნაწილი 1: კურიკულუმის შეფასება	დავადგინოთ იშვიკის უნივერსიტეტში მოსამზადებელ სკოლაში კურიკულუმის ღირებულება სოციოლინგვისტური და პრაგმატიკული კომპეტენციების სწავლებისთვის	<ol style="list-style-type: none"> 1. დისკუსიები სტუდენტებთან 2. დისკუსიები მასწავლებლებთან კურიკულუმის შესახებ და მათ მიერ მისი შეფასება 3. სასწავლო პროცესის დაკვირვება 4. კრიტერიუმთა ნუსხით კურიკულუმის გაანალიზება 	
ნაწილი 2: სახელმძღვანელოს შეფასება	უნივერსიტეტის ენის სკოლაში გამოყენებული სახელმძღვანელოების ღირებულების დადგენა სოციოლინგვისტური და პრაგმატიკული კომპეტენციების სწავლებისთვის	<ol style="list-style-type: none"> 1. სახელმძღვანელოების კრიტერიუმების ნუსხით შეფასება 	
ნაწილი 3: მასწავლებლის შეფასება	დადგინდეს მასწავლებლების ცნობადობა კომუნიკაციური კომპეტენციის სწავლების მნიშვნელოვნების შესახებ და შეფასდეს კომუნიკაციური კომპეტენციის მათეული დონე	<ol style="list-style-type: none"> 1. მასწავლებლების გამოკითხვა 2. სოციოლინგვისტური და პრაგმატიკული კომპეტენციების მცირე ტესტი მასწავლებელისთვის, როგორც გამოკითხვის ნაწილი 	
ნაწილი 4(ა): შემსწავლელების სოციოლინგვისტური და პრაგმატიკული კომპეტენციის დონის შეფასება და ტესტირება	თავდაპირველად შემსწავლელების სოციოლინგვისტური და პრაგმატიკული კომპეტენციის დონის დადგენა და მოგვიანებით, მათი პროგრესის შეფასება	<ol style="list-style-type: none"> 1. პრე-ტესტი 2. შუალედური ტესტი 3. პოსტ-ტესტი 	

<p>ნაწილი 4(ბ): ინგლისურ ენაში შემსწავლელების საერთო ზეპირი მეტყველების ტესტირება /შეფასება</p>	<p>შემსწავლელთა საერთო ზეპირი მეტყველების დონის შეფასება</p>	<ol style="list-style-type: none"> 1. ზეპირი მეტყველების შეფასების პრე-ტესტი 2. ზეპირი მეტყველების შეფასების შუალედური ტესტი 3. ზეპირი მეტყველების შეფასების პოსტ-ტესტი
<p>ნაწილი 5: მოსაზრებები სტუდენტებისგან</p>	<p>სტუდენტებისგან ექსპერიმენტის შესახებ უკუკავშირის მიღება</p>	<ol style="list-style-type: none"> 1. ინტერვიუ მონაწილე კლასებიდან შემთხვევით შერჩეულ ოთხ სტუდენტთან 2. დისკუსიები საკლასო ოთახში სტუდენტებთან

კვლევა ჩატარდა იშვიკის უნივერსიტეტში, მოსამზადებელ სკოლაში, ერბილი, ერაყი. ექსპერიმენტულ ჯგუფში იყო 17 სტუდენტი, საკონტროლო ჯგუფში 19 სტუდენტი, მთლიანობაში - 36 სტუდენტი მონაწილეობდა ექსპერიმენტში.


პირველი ინტერვიუ ჩატარდა, რათა გამოვლენილიყო მოსწონდათ თუ არა სტუდენტებს სწავლების ექსპერიმენტული მეთოდი, იგულისხმება, სოციოლინგვისტური და პრაგმატიკული კომპეტენციების კომპონენტების შესწავლა ამ მიზნისთვის შექმნილი სხვადასხვა აქტივობის მეშვეობით. მეორე ინტერვიუს მიზანი იყო გაგვეჩვენა სტუდენტთა მოსაზრებები, თუ რა წვლილი შეიტანა ექსპერიმენტმა მათი ენობრივი უნარების ამაღლებაში.

სკოლის ენის კურიკულუმის დაკვირვება და ანალიზი ჩატარდა იმისთვის, რომ განსაზღვრულიყო მისი ფასეულობა სოციოლინგვისტური და პრაგმატიკული კომპეტენციების სწავლების თვალსაზრისით. პროცესი მოიცავდა სასწავლო პროცესზე დასწრებას და მის დაკვირვებას, რამოდენიმე მასწავლებელთან/შემსწავლელთან კურიკულუმის განხილვას, შეფასებას და მის ანალიზს.


ექსპერიმენტის დროს პრაგმატიკული და სოციოლინგვისტური კომპეტენციების განვითარებისთვის დაიგეგმა და განხორციელდა აქტივობების წყება. გვყავდა ორი ჯგუფი: ექსპერიმენტული და საკონტროლო. საკონტროლო ჯგუფში სწავლება ტრადიციული მეთოდით მიმდინარეობდა დამატებითი სავარჯიშოების და აქტივობების გარეშე, მაშინ, როცა ექსპერიმენტულ ჯგუფს სკოლის კურიკულუმთან ერთად სპეციალიზებული წვრთნა ჩაუტარდა ამ კომპეტენციების სწავლების თვალსაზრისით. ექსპერიმენტი ექვსი თვე გაგრძელდა.

პრე-ტესტის, შუალედური ტესტის, პოსტ-ტესტის შედეგად მოპოვებული მონაცემების ანალიზმა ცხადყო, რომ სტუდენტებმა, რომელთაც სპეციალიზებული კურიკულუმით ასწავლიდნენ დამატებითი აქტივობებით სოციოლინგვისტური და პრაგმატიკული კომპეტენციების განვითარებისთვის (ექსპერიმენტული ჯგუფი), უჩვენეს უფრო მაღალი მიღწევები ორივე კომპეტენციის შესწავლაში და ზეპირ მეტყველებაში საკონტროლო ჯგუფთან შედარებით.

სქემა 4.1. პრე-ტესტის, შუალედური ტესტის და პოსტ-ტესტის ქულები 100-ის ფარგლებში ექსპერიმენტულ და საკონტროლო ჯგუფებში



სქემა 4.2. ზეპირი მეტყველების პრე-ტესტის, შუალედური ტესტის და პოსტ-ტესტის ქულები 25-ს ფარგლებში საკონტროლო და ექსპერიმენტულ ჯგუფებში



დასკვნები და რეკომენდაციები

კვლევამ შემდეგ დასკვნებამდე მიგვიყვანა:

- როცა ჩვენ ჩვენს მშობლიურ ენას ვითვისებთ, ჩვენ ასევე ვეუფლებით მის სოციოლინგვისტურ და პრაგმატიკულ ნორმებს, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ჩვენ მშობლიურ ენაზე არა მხოლოდ გრამატიკულად სწორ წინადადებებს წარმოთქვამთ, არამედ წინადადებებს, რომლებიც მართებულია ნებისმიერ მოცემულ სოციალურ კონტექსტში. უცხოური ენის შესწავლისას ჩვენ ამ ნორმებს ჩვეულებრივ არ ვსწავლობთ. ჩვენ გვასწავლიან გრამატიკულ წესებს, ლექსიკას, წარმოთქმას და ენობრივი ფორმის სხვა ასპექტებს. ინგლისური როგორც უცხოური ენის შემთხვევაში საკლასო ოთახი ხშირად ერთადერთ ადგილად რჩება, სადაც სტუდენტები შესასწავლ ენასთან ურთიერთობენ და როცა სტუდენტს აქაც არ შეასწავლიან ენის სოციოლინგვისტურ და პრაგმატიკულ

ასპექტებს, ჩვენ ვღებულობთ ინგლისურად მოსაუბრეებს, რომლებიც არ არიან კომუნიკაციურად კომპეტენტურები, ე.ი. მოსაუბრეებს, რომლებიც ვერ იყენებენ ენას რეალურ სიტუაციებში.

2. კომუნიკაციური კომპეტენცია გადამწყვეტია ენის სწავლებისას; მიუხედავად ამისა, მისი კომპონენტები, როგორებიცაა, სოციოლინგვისტური და პრაგმატიკული კომპეტენცია უგულებელყოფილია სხვადასხვა მიზეზისადა გამო. ამ დანაკლისის დასაძლევად მნიშვნელოვანია მათი ჩართვა ენის კურიკულუმში და გრამატიკასთან, ლექსიკასთან, წარმოთქმასთან, ა.შ. ერთად მათთვის ჯეროვანი ადგილის მიჩენა.
3. პრაგმატიკული კომპეტენცია არის უნარი გადმოსცე ვერბალური გზავნილი ჩაფიქრებული მნიშვნელობით და განმარტო გზავნილი ასევე წინასწარგანზრახული მნიშვნელობით. ეს კომპეტენცია იყოფა ორ ქვეკომპეტენციად: დისკურსის და ფუნქციონალური კომპეტენციები. დაგეგმვის/დიზაინის კომპეტენცია არის პრაგმატიკული კომპეტენციის ამ ორი ზემოაღნიშნული კომპონენტის ნაწილი და წარმოადგენს უნარს დაალაგო გზავნილები ტრანსაქციული და ინტერაქციული სქემის მიხედვით. დისკურსის კომპეტენცია არის უნარი წერილობითი თუ ზეპირი ტექსტის ორგანიზება კოჰერენტულად და კოჰეზიურად მოახდინო. უნარს, გამოიყენო წერილობითი თუ ზეპირი დისკურსი კომუნიკაციისას კონკრეტული ფუნქციონალური მიზნებისთვის, ფუნქციონალური კომპეტენცია ეწოდება.
4. სოციოლინგვისტური კომპეტენცია მიუთითებს იმ ცოდნასა და უნარებზე, რომლებიც ჩართულია სოციალური ნორმებისა და ჩვეულებების თვალსაზრისით ენის მართებულად გამოყენებაში. ამიტომაც, ის ეხება ისეთ საკითხებს, როგორებიცაა სხვაობები რეგისტრებში, დიალექტებში, კილოკავებში, მიმართვის, ზრდილობისა და ხალხური სიბრძნის გამოხატვის წესებში.
5. მიდგომა, რომლისთვისაც კომუნიკაციური კომპეტენციის ცნება უმნიშვნელოვანესია, არის ენის კომუნიკაციური სწავლება. ეს ფართო მიდგომაა

ენის სწავლებისადმი, ზოგადი პრინციპების წყება, და არა მეთოდი გამოკვეთილი ინსტრუქტაჟით. ზოგი ამ პრინციპთაგან ქვემოთაა მოცემული:

- სადაცკი შესაძლებელია ენის გამოყენება ავთენტური უნდა იყოს, ისევე, როგორც ეს რეალურ კონტექსტში ხდება
- კომუნიკაცია სწავლების საშუალებაცაა და საბოლოო მიზანიც
- მოსაუბრის დამოკიდებულების ან განზრახვის გამოცნობის უნარი კომუნიკაციური კომპეტენციის მნიშვნელოვანი ნაწილია
- შესასწავლი ენა არა მხოლოდ შესწავლის ობიექტია, არამედ საკლასო ოთახში ურთიერთობის საშუალებაც
- მნიშვნელოვანია თამაშები და სხვა აქტივობები, რომლებიც აზრის, მნიშვნელობის შესახებ შეთანხმებაზე და კომუნიკაციაზე ფოკუსირებული
- სტუდენტებს უნდა მიეცეთ საშუალება გამოხატონ თავიანთი მოსაზრებები და იდეები
- შეცდომა ენის შესწავლის და კომუნიკაციური უნარების განვითარების ბუნებრივი ნაწილია და ამიტომაც მის მიმართ შემწყნარებლური დამოკიდებულებაა საჭირო
- ლექსიკის და გრამატიკული ფორმების შეთვისება სიტუაციური კონტექსტის, მოსაუბრის ფუნქციისა და როლების საშუალებით ხდება
- კომუნიკაციური აქტივობების შექმნისას მასწავლებელს ხელშემწყობის როლი ეკისრება და ასევე მრჩევლისა ამ აქტივობების შესრულებისას

6. სტუდენტებში სოციოლინგვისტური და პრაგმატიკული კომპეტენციის ჩამოყალიბებაში წამყვანი ფაქტორებია სწავლების ისეთი საშუალებები, როგორცაა სახელმძღვანელო, ასევე, ენის კურიკულუმი და მასწავლებელი. ყველა ეს ფაქტორი გაანალიზდა და მოექცა დაკვირვების ქვეშ ამ კომპეტენციების

სწავლებისთვის ღირებულების თვალსაზრისით და ქვემოთ მოცემულია მოკლე ჩამონათვალი იმ დასკვნებისა, რომელებიც მივიღეთ ანალიზისა და დაკვირვებების შედეგად.

რაც შეეხება სახელმძღვანელოებს, აქ ანალიზმა გვიჩვენა, რომ :

- ისინი არ მოიცავენ კომუნიკაციური კომპეტენციის ყველა აუცილებელ ელემენტს, განსაკუთრებით, მის პრაგმატიკულ და სოციოლინგვისტურ კომპონენტებს, როგორებიცაა, თხოვნის, მიპატიჟების, ჩივილის, მოზოდინების სამეტყველო აქტები და თავაზიანობის სტრატეგიები.
- ამიტომაც, მხოლოდ სახელმძღვანელოები სოციოლინგვისტური და პრაგმატიკული კომპეტენციების ჩამოყალიბებისთვის საკმარისი წყარო არ არის.

რაც შეეხება ენის კურიკულუმს:

- მასში საშუალებები პრაგმატიკული და სოციოლინგვისტური კომპეტენციების ჩამოყალიბებისთვის, როგორებიცაა, აქტივობები, დავალებები, ა.შ. არასაკმარისია გრამატიკის, ლექსიკისა და წარმოთქმის სწავლებისთვის გამიზნულ საშუალებებთან შედარებით.
- აქტივობათა მცირე ოდენობა, რომელიც ფოკუსირებულია ამ ორ კომპეტენციაზე და ზოგადად, კომუნიკაციურ კომპეტენციაზე, სწავლების დროს გამოტოვებულია დროის შეზღუდულობის გამო ან იმის გამო, რომ მასწავლებელი თავისი პირადი მოსაზრებით მათ ნაკლებ მნიშვნელოვნად თვლის, ვიდრე გრამატიკის წესებს და ენობრივი ფორმის სხვა კომპონენტებს.

რაც შეეხება ინგლისური როგორც უცხოური ენის მასწავლებლებს:

- მასწავლებლები აცნობიერებენ კომუნიკაციური კომპეტენციის სწავლების მნიშვნელოვნებას.

- მათ განაცხადეს, რომ ენის შესწავლისას სათანადო ცოდნა ამ მიმართულებით არ მიუღიათ.
- მათი უმრავლესობა კომუნიკაციურად კომპეტენტურად ვერ ჩაითვლება.

7. ლიტერატურის მიმოხილვაზე დაყრდნობით გამოვლინდა ექსპერიმენტის დროს გამოსაყენებლად აქტივობებისა და პროცედურების შემდეგი წყება:

- თავაზიანობის ფორმების გავარჯიშების აქტივობები, რომელთაც მოსდევს მათი მართებულობის შესახებ მსჯელობა.
- ვიდეო მასალა სხვადასხვა სოციალური სიტუაციისა და მშობლიურ ენაზე მოსაუბრეების ჩვენებით.
- დისკუსიები ინფორმაციის გულწრფელად, ნამდვილად გაცვლის გარანტირებისთვის.
- პრეზენტაციები, რომელთაც მოსდევს მასწავლებლის უკუკავშირი, რათა გავარჯიშდეს სხეულის ენა და არავერბალური კომუნიკაციის სხვა საშუალებები.
- სამეტყველო აქტების აშკარა (ექსპლიციტური) სწავლება, რომელთაც მათი სათანადობის შესახებ მსჯელობა მოსდევს.
- ანდაზების და გამონათქვამების სწავლება, რათა განვავითაროთ შესასწავლ ენაში კულტურის ცნობადობა.
- როლების გათამაშება ამ კომპეტენციების სწავლებისა და შესწავლისთვის და მათი გავარჯიშების მიზნით.
- დროგამოშვებით შესასწავლი ენის კულტურის ნორმების შესახებ კომენტარებისა და ინფორმაციის გაზიარება.

8. ჩვენი ჰიპოთეზის მიხედვით, ენის კურიკულმი, რომელიც გამდიდრებულია პრაგმატიკული და სოციოლინგვისტური კომპეტენციების ელემენტებით გაზრდის სტუდენტთა დონეს ამ კომპეტენციების ფლობაში, დაეხმარება მათ გახდნენ შესასწავლ ენაზე უფრო თავისუფლად მოსაუბრეები, სწავლების

ტრადიციული მეთოდისგან განსხვავებით, რომლის კურიკულუმში დამატებითი აქტივობები, რომლების ამ კომპეტენციების დაუფლებისკენაა მიმართული, გამოყენებული არაა. აღნიშნული უნარები და კომპეტენციები შეფასდა შუალედური ტესტითა და პოსტ-ტესტით. რაოდენობრივმა შედეგებმა წარმოაჩინა, რომ ორივე -საკონტროლო და ექსპერიმენტულმა ჯგუფმა გააუმჯობესა თავისი საშუალო ქულა ამ ტესტების დროს პრე-ტესტთან შედარებით. თუმცა, ექსპერიმენტული ჯგუფის ქმედება გაცილებით უკეთესი იყო, ვიდრე საკონტროლო ჯგუფისა როგორც წერილობითი, ასევე ზეპირი შეფასების ტესტებში. ამრიგად, ჩვენი ჰიპოთეზა დადასტურდა.

9. რაოდენობრივმა (ექსპერიმენტულმა) შედეგებმა დაადასტურეს ჰიპოთეზა, რომ სოციოლინგვისტური და პრაგმატიკული კომპეტენციების სწავლებას შედეგად მოსდევს ამ კომპეტენციების და მთლიანობაში ზეპირი მეტყველების გაზრდილი დონე შესასწავლ ენაში მეორე ენის შემსწავლელებს შორის. საკონტროლო ჯგუფის ქულა გაიზარდა 55.00-იდან (წერილობითი პრე-ტესტი) და 17.15-იდან (ზეპირი მეტყველების პრე-ტესტი) 57.74-მდე (წერილობითი შუალედური ტესტი) და 18.31-მდე (ზეპირი მეტყველების შუალედური ტესტი) და საბოლოოდ, 60.21-მდე (წერილობითი პოსტ-ტესტი) და 19.26-მდე (ზეპირი მეტყველების პოსტ-ტესტი). მაშინ, როცა ექსპერიმენტული ჯგუფის ქულა გაიზარდა 55.88-იდან (წერილობითი პრე-ტესტი) და 16.94-იდან (ზეპირი მეტყველების პრე-ტესტი) 62.82-მდე (წერილობითი შუალედური ტესტი) და 20.00-მდე (ზეპირი მეტყველების შუალედური ტესტი) და საბოლოოდ, 72.59-მდე (წერილობითი პოსტ-ტესტი) და 22.47-მდე (ზეპირი მეტყველების პოსტ-ტესტი). ქულის საბოლოო ზრდამ ექსპერიმენტულ ჯგუფში შეადგინა 16.71 წერილობით ტესტებში და 5.53 ზეპირი მეტყველების ტესტებში, რაც გაცილებით მეტია, ვიდრე საკონტროლო ჯგუფისა, რომელიც შეადგენს 5.21-ს წერილობით ტესტებში და 2.11-ს ზეპირი მეტყველების შეფასების ტესტებში, რითაც ჩვენი ჰიპოთეზა დადასტურდა.

10. ჩვენი ჰიპოთეზის მიხედვით, სოციოლინგვისტური და პრაგმატიკული კომპეტენციების სწავლება შემსწავლელელებში შესასწავლი ენის ინტერპრეტაციისა და მასზე ინტერაქციის უნარებს ავითარებს. პოსტ-ექსპერიმენტულ ინტერვიუში შემსწავლელელებმა აღნიშნეს, რომ ისინი უფრო კომპეტენტური გახდნენ მოსაუბრის ნათქვამში ჩაფიქრებული აზრის, მნიშვნელობის და ტონის, როგორებიცაა, სარკაზმი, ირონია, იუმორი, სერიოზულობა ინტერპრეტაციის საქმეში, ვიდრე ეს წინათ იყო, და რომ მათ მოსწონდათ ექსპერიმენტული სწავლების მეთოდი და ენის სოციოლინგვისტური და პრაგმატიკული კომპონენტების შესწავლა. მათი პასუხები მიუთითებს, რომ ექსპერიმენტული სწავლება:

- მოიცავს ტექნოლოგიის გამოყენებას
- შემსწავლელეებს ინგლისურ ენაზე უფრო კომპეტენტურ მოსაუბრეებად აქცევს
- შესწავლელეებში ზრდის პრაგმატიკული კომპეტენციის დონეს
- შესწავლელეებში ზრდის სოციოლინგვისტური კომპეტენციის დონეს
- ზრდის მათ უნარებს მოახდინონ მოსაუბრის ჩაფიქრებული აზრის და ტონალობის ინტერპრეტაცია
- ასწავლის გრამატიკას, წარმოთქმას და ენის სხვა ასპექტებს არასტრესულ გარემოში

ასე რომ, ამ ნაშრომის თვისობრივი შედეგებიც ამყარებენ კვლევის ჰიპოთეზას.

11. დასაწყისში სტუდენტები როგორც ექსპერიმენტულ, ასევე საკონტროლო ჯგუფში იყვნენ წინა-საშუალო დონეზე და შეეძლოთ გრამატიკულად სწორი წინადადებების აგება სოციალურ სიტუაციებში, მაგრამ პრაგმატიკული და სოციოლინგვისტური თვალსაზრისით არაკომპეტენტურობას ამჟღავნებდნენ. ექსპერიმენტის დაწყებიდან მოყოლებული ექსპერიმენტული ჯგუფის

სტუდენტებმა გამოავლინეს ენთუზიაზმი სოციოლინგვისტური და პრაგმატიკული კომპეტენციების შესწავლის საქმეში. ექსპერიმენტის პირველი კვირებიდან მოყოლებული მათ დაიწყეს ყოველდღიური სამეტყველო აქტების, როგორებიცაა, თხოვნა, მიპატიჟება, დათანხმება/არ დათანხმება, მართებულად გამოყენება. თანდათანობით მოსაუბრის მიერ ნათქვამის ჩაფიქრებული აზრის, მნიშვნელობის და ტონის ინტერპრეტაციის მათეული უნარებიც გაუმჯობესდა და შედეგად, მათ შეძლეს შესაფერისად რეაგირება საჭიროებისდამიხედვით.

12. ექსპერიმენტის, ინტერვიუების და დაკვირვებების შედეგები, რომლებიც ამ მოდელის ეფექტურობის შესაფასებლად გამოვიყენეთ, მიგვითითებენ, რომ ეს გახლავთ ინგლისური როგორც უცხოური ენის შემსწავლელელებში სოციოლინგვისტური და პრაგმატიკული კომპეტენციების განვითარების ეფექტური გზა. შესაძლებელია ამ მეთოდის გამოყენება არა მხოლოდ უნივერსიტეტის დონის სტუდენტებისთვის, არამედ ინგლისური როგორც უცხოური ენის პრაქტიკულად ნებისმიერი პროგრამისთვის საშუალო სკოლიდან მოყოლებული ენის კურსების ჩათვლით, იმ პირობით, რომ შემსწავლელელები თინეიჯერობის ასაკის დასასრულში იმყოფებიან და მინიმუმ B1 (CEFR) დონეს ფლობენ. რასაკვირველია, შესაძლოა დამატებითი კვლევა გახდეს საჭირო შემოთავაზებული მოდელი კონკრეტულ შემთხვევას რომ მივუსადაგოთ.

13. კვლევას ინგლისური როგორც უცხოური და მეორე ენის მასწავლებლებისთვის შემდეგ რჩევები გააჩნია - მათ პერიოდულად უნდა განაახლონ და გააუმჯობესონ სოციოლინგვისტური და პრაგმატიკული კომპეტენციების და მთლიანობაში, კომუნიკაციური კომპეტენციის მათეული დონე და ეს ფასეული ცოდნა გადასცენ მეორე ენის შემსწავლელელებს ინგლისური როგორც უცხოური და მეორე ენის სწავლების თანამედროვე მეთოდებით, ამით მათი სწავლების პრაქტიკა ნამდვილად კომუნიკაციური გახდება და გაუმჯობესდება მათ მიერ სწავლების შედეგიც ენის შემსწავლელელებში უფრო მაღალი ენობრივი დონის მიღწევით.

სადისერტაციო თემასთან დაკავშირებული პუბლიკაციები:

1. Koran, E. (2015). Practical Value of EFL Textbooks for Teaching Main Aspects of Communicative Competence (Sociolinguistic and Pragmatic Competences). *International Journal on New Trends in Education and Their Implications-IJONTE*, Volume 6, Issue 1, გვ. 28-37
2. Koran, E. (2015). Awareness of Importance of Communicative Competence in TEFL among EFL Teachers in Iraq. *Proceedings of VESAL 2015 Conference 26th-27th April 2015, Erbil, Iraq*. გვ. 159-171
3. Koran, E. (2015). The Making of Communicative Language Teaching -A Brief History of the Approach. *Proceedings of IRCELT 2015 Conference 1st-2nd May, Tbilisi, Georgia*. გვ. 237-244
4. Koran, E. (2015). Assessment of EFL learners' sociolinguistic and pragmatic competence and performance, *Journal of Education in Black Sea Region*, vol. 1, issue, 1, გვ. 45-53